

137
1930





ოქტომბერი.



ჩვენი მამები განთავისუფლდნენ,
და ჩვენც, ბავშვები, ვხარობთ და ვმღერით:
დღეს მეცამეტედ ამოგვიბრწყინდა,
თავისუფლების ჩვენ ოქტომბერი!
მე პატარა ვარ და არ მინახავს
არც ბოქაული, არც მათრახები,
მაგრამ ვიცი კი—იმათ აწვალეს
ჩემი მამიკო, ჩემი და-ძმები
მაშ გაუმარჯოს თავისუფლებას
და მოეღვარე წითელსა დროშებს,
მაშ გაუმარჯოს წითელ ოქტომბერს,
თავისუფლება რომ მოგვცა ბავშვებს.

თ. დევდარიანი

წითელარმიელი კოლექტივი.



ტრაქტორისტია სამხედრო სკოლის
და მეომარი ველზე მრისხანე,
არღვევს დობეებს, საზღვრებს და მიჯნებს,
თან ხნავს, თან სთესავს ქალებს და ყანებს!
ის კულაკების დასამარცხებლად
ისევ იბრძოლებს და ითარეშებს,
მისი ოჯახი კოლექტივია
და არც ყოფნა ჰსურს იმის გარეშე!
თანაშემწეა ღარიბ გლეხობის,
ის ყაზარმაშიც არის დამკვრელი,
საბჭოთა კავშირს იცავს გულმკერდით
წითელ საზღვრების მდგრად დამცველი!



ა. კაშიაძე



560



ოქტომბერი



რა კარგია დღეს ქალაქი,
დროშებით რომ შეიძოს!
ოქტომბერო, უოველწლობით
კვასალისებს შენი მოსვლა.




დღეს ცაშეტი წელი არის,
რაც ვაშენებთ ახალ მხარეს,
დე, იცინოს მტერმა მტრულად,
დე, იცინოს, ახარსარდეს!




ჩვენ წინ წავალთ, შევასრულებთ
ბრეწველობის დიად კვებებს,
და დროც ჩქარა, ძლიერ ჩქარა
სოციალიზმს მიგვაგებებს.



ვერს სედავთ ახალ ქარსებს,
 მანქანებს და ელსადგურებს,
 მუდამდე რომ ახალიებს
 პროდისათვის ძვეთქვე გულებს.



დეეს ცამეტი წელი არის,
 რაც ვაშენებთ ახალ მხარეს,
 დე, იცინოს მტერმა მტრულად,
 დე, იცინოს, ახარსარდეს!



ჩვენ წინ წაუბლოთ, შევასრულებთ
 მრეწველობის დიად გეგმებს,
 და დროც ჩქარა, ძლიერ ჩქარა
 სოციალიზმს მიგვაგებებს.

ალ. ბილანიშვილი.



ქარბუხლიანი

ღღეგები

საბავშვო სახლის ხელმძღვანელმა ანამ ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის წინაღლით უთხრა ბავშებს:

— შევეითეთ დედ-მამას, რა ახსოვთ ოქტომბრის რევოლუციის შესახებ და სხალ მოვარწოთ დილა; კარგად დაინახსოვრეთ, რასაც მშობლები გეტყვიან, და სხალ გვიამბეთ დაწვრილებით.

დაბრუნდა მიშა, მკერამ არ იცის უნა ჭკითოსო, დედ-მამა დიდი-სანია აღარა ჭეაეს და ახლა კი დასთან და მძასთან ცსოვრობს.

— ნეტავ მულოდა დედ-მამა, სომ ვეელაფერს მომივეებოდენ! — ფიქრობს მიშა, და ესოს მიადგა.

მივიდა მიშა დასთან და ესუეწება:

— მარო, მიაძბე, რა იცი რევოლუციის შესახებ.

— რომელი რევოლუციის?

— ოქტომბრის.


— მე არ მახსოვს, შეიძლება ოლიას ახსოვდეს, ის ხეშე უფროსია ერთი წლით.

არც ოლიას ახსოვს.

მხოლოდ იკონებს ბუნდოვანად, როგორ კარბოდენ თოფიანი მუშები ფანჯრებთან.

— ვანო ჩქარა დაბრუნდება ქარხნიდან და იმასა ჭკითსე, უსათუოდ ეცოდინება რაზე, — უთხრა დამ.

ვანო მოვიდა ქარხნიდან.



მასუთისაგან გაძავებული ტანსაცმელი გამოიცვალა
და სკამზე.

მიმა წინ დაუდგა.

— მიამბე, ვანო, რა განსოვს რეკოლუციის შესახებ.

— მახსოვს, — ამბობს ვანო, ზირველად შევე ჩამოაგდეს.

შემდეგ გაიარა ერთმა თვემ.

მიამა ქარსნიდან უფრო და უფრო გაბრახებული მოდიოდა.

— არა, მარტო შეუის ჩამოგდება არ კმარა, — ამბობდა მიამა, —
შეუის მაგივრად სელისუფლება ახლა მექარსნიეებმა ჩაიგდეს
სელში. ისინიც უნდა დაგამსოთ, ძალა-უფლება ჩვეს სელში უნდა იყოს.

დადგა შემოდგომა.

მუშებმა სმა აიმაღლეს, მექარსნიეებს ზუჯანედენ.

მიამა მაშინ მომიკლეს. დაიწყო ბრძოლა.

ერთ დღეს ქუჩაში მივრბოდი.

ტყვიები სუოდენ.

მივინედე მარცხნივ და შევერთი.

სის სურვით კედელზე მიუდებული დაჭრილი კაცი, და ველო-
სინედიც იქვე კდია. გაფურე გვერდით.

დაჭრილი კაცი მუშებზეა:

— გაიქე, ზატარავ, ქარსანაში და იქ უთხარი მუშებს, რომ
ქალაქის განაზირა უბანს ვასნები ვსაჭიროება.

მე ვუშებები:


— ველოსინედიტ მიქილება?

— მიქილება.

შევესტი ველოსინედიტ და სსაქაროდ
გავექანე ქარსნიეაკენ. ის ველოსი-
ნედი ახლაც მაქეს.

მივედი. მუშებებან:

— გაიქე ქარსანაში შეგროვილ
ხალსთან, ისინი შენთან ერთად წა-
მოვლენ.



წაუვდი მათთან და იქიდან ავტომატულით წაუვდით. როდესაც მივედით, დაჭრილი კაცი ტყვიამფრქვევს უვდა და თავკამოდებით იბრძოდა.

შემდეგ ვეკლავფერი გათავდა. მუშებმა გაიმარჯვეს.

* * *

მივიდა მიძა მეორე დღეს საბავშო სასკოლი.

ბავშვები ესოში შეგროვილიყვენ და მსიარულად თამაშობდენ.

სახლის მოაჯირზე გამიხნდა მასწავლებელი ანა.

ბავშვები დანახვისთანავე მისკენ გაეშურენ.

მიძამ უამბო ბავშვებს მის ნაამბობი.

ამ დროს ერთმა ბავშვმა წამოიყვირა:

— ის მამანეში იყო, წუსელის მან მიაძბო:

„მე დაჭრილი ვიყავი; ამ დროს ერთი ახალგაზრდა ეძწვილი რომ არ მოსულიყო და ჩემი ველოსინჯდით მუშებისთვის არ მიუტანა ამბავი, მოწინააღმდეგეები უსათუოდ შემინჯობდენ“.

მიძა სინარულით დაბრუნდა მინ, უამბო მძას, რომ მათთან არის ერთი ბავში, რომლის მამამაც ვანო ველოსინჯდით გაგსავანა ქარხანაში.

— მამ ველოსინჯდი უნდა დაუუბრუნო, — სთქვა ვანომ.


მეორე დღეს ვანო და მიძა მივიდენ ბავშვის მამასთან.

მათ შინ დაუსვდათ სამსედრო კომისარი.

დანიხსა ვანო თუ არა, იცნო და მსურვალედ მიესალმა.

— ეს ველოსინჯდი მიძას ჭქონდეს, — სთქვა კომისარმა და მოიკონა ის დრო, როდესაც ვანო ველოსინჯდით ქარხნისაკენ გაეშურა.

გ. შალვაშვილი.




მ ქ ტ რ ე ზ ე რ ი.

ამ დღეს შეიძებს მშრომელი,
მუშა იუოს თუნდა კლესი,
ამ დღეს იუო, რომ დაეცა
მშრომელთ მხაგურელებს თავს შესი.




ამ დროს აიღო მშრომელმა
თავისუფლების აღაში,
მხაგურელებს კერა ჩაუქრო,
ჩაგურელებს მისცა სალაში.



დღეს მტარვალს მილი არ მოსდის,
მას აფრთხობს რაღაც ღანდია.
ბოდის, ბორკილებს მოამსწრეკს
მუშათა, კლესთა გვარდია.



ოქტომბრის ქარმა დაქროლა,
მტარვალს ჩაუქრა კერაო,
გამოღუიბებულ მშრომელ ჯარს
ვეღარ ამარცხებს, ვერაო.



ს ა ბ ა ვ უ მ ბ ა ლ ი ს ვ ა ნ ი თ უ ი

ტატომბაღი

All. vivo. მუნღი უ.თაყაჯიშვილი

მე-ბო-ბუნ-ბო ზა-ფა რე-ბო,

ხე-ლი ხეოსა და ხუნს შუნსა წ-ლისფეოსა თე-ფომბეოსა მი-ვეგე-ბოთა

და შევლებოდა ში-ე - დნე - ბი და ქუ ხე - ბი წი თელფე რათა თ.

პატარა

საქართველოს
კომუნისტური
პარტია



ჯ პატარა ინდოელია, ღარი-
ბი მუშის შვილი. მის მამას ზღვის ძი-
რიდან ბევრი ძვირფასი მარგალიტი
ამოაქვს, მაგრამ თვითონ მაინც ღა-
რიბია და ხშირად თავის ცოლშვილ-
თან ერთად შშიერი იძინებს. მოპოე-
ბული მარგალიტები ინგლისელებს
შოიქვთ, რადგანაც ინდოეთი და ყვე-
ლა ზღვა მის გარშემო ინგლისის ეკუ-
თვნის, ინდოეთი ინგლისის კოლო-
ნიაა. პურის ფულადაც არა ჰყოფნის
ოჯახში.

ჯო მისიონერების სკოლაში სწავ-
ლობს. ამ სკოლაში უმთავრესად
სარწმუნოებას და ინგლისელებისადმი
პატივისცემას და უსიტყვოდ მორჩი-
ლებას ასწავლიან.

აი სწორედ ასეთ სკოლაში ჯომ
ერთი თავისი უფროსი ამხანაგის და-
ხმარებით, რომელიც ბაშბის სართავ
ქარხანაში მუშაობს, პიონერთა კო-
ლექტივი დააარსა.


თხუთმეტამდე ბავში ჩაეწერა კო-
ლექტივში.

ესენი ძალიან მუყაითად მუშაობენ,
ესაუბრებიან ბავშებს ჩუმად, თვითო-
ნაც სწავლობენ, რაც პიონერმა უნ-
და იცოდეს

აი, ჯომ თავისი მამისაგან გვიგო,
რომ რუსეთში, ახლა რომ საბჭოთა
კავშირს ეძახიან, წინად გაკირებუ-
ლი ცხოვრობდა ხალხი, მაგრამ მუ-
შებმა და გლეხებმა კომუნისტების
ხელმძღვანელობით მეფე და კაპიტა-
ლისტები დაამარცხეს დაახლა ძალა-
უფლება მათ ხელშია. «აქაც არიან
ასეთი კომუნისტები და ალბათ აქაც
ასე მოხდება».

ჯოსაც უნდა, რომ კომუნისტი
ვახდეს. მაგრამ თავისი უფროსი ამ-
ხანაგი რიკი ეუბნება, რომ ამისთვის
ჯერ პატარაა და კოლექტივში უნდა
იმუშაოს კარგად.

რიკი ალბათ კომუნისტია, რომ
ყველაფერი იცის. რამდენი რამ იცის.
რაც გინდა ჰკითხო, ყველაფერზე
გაპასუხებს.





მერე, ვანა ჯო კარგად არ მუშაობს კოლექტივში?

ის ხომ კოლექტივის ხელმძღვანელია.

ჯომ პირველ მაისს ისეთი დემონსტრაცია მოაწყო, რომ მათი პატარა ქალაქის პოლიცია სულ მთლად ფეხზე დადგა და უკან დაედევნა. რამდენიმე დაიპირეს კიდევ, მაგრამ დაწვებლეს, სამი-ოთხი დღეც ბნელ სარდაფში ჰყავდათ ნახევრად შშიერი.

ჯო იმ დღეს გადაჩა პოლიციას, მაგრამ მეორე დღეს მასწავლებელმა რაღაც კუდი თვალით დაუწყო ცქერა, ვგონებ გაუგია, რომ ჯო იყო ამ დემონსტრაციის ხელმძღვანელი.

გაკვეთილის ახსნის მაგიერ მასწავლებელმა გუშინდელი დემონსტრაცია


ციის შესახებ დაიწყო ლაპარაკი. მთელი წაფეებს არიგებდა, რომ ღრმად მოსწონდათ. ციებს კომუნისტები მართავენ, რომლებიც მეტად საშინელი და საზიზღარი ხალხია, ყველას ცარცვავენ, ჰკლავენ და ყველაფერს ანგრევენ, ნამდვილი ყაჩაღები არიან.

— ჩვენ სკოლაშიაც შემოგვპარვია ერთი კომუნისტი და, თუ ვინმემ იცით მისი ვინაობა, მითხარით. თუმცა მე უკვე ვიცი, ვინც არის, — და თან ჯოსკენ იხედებოდა.

მაგრამ ჯოს არ ეშინია მასწავლებლის. ის ხომ მარტოკა არ არის აქ, მას ბევრი ამხანაგი ჰყავს, რომლებიც არ გასცემენ. აგერ ერთი მისი ამხანაგი მის მაგიერ აძლევს პასუხს:

— ბატონო მასწავლებელო! კომუნისტები ღარიბებს არას ერჩიან, იმათ ღარიბები ძალიან უყვართ და თქვენნიირ მდიდრებს კი ემტერებიან. ისინი კარგი ხალხია...

— კარგი, კარგი! ხმა გაწყვიტე, გაეთრიე ახლავე აქედან, შე საძაგელო ბავშო, თვალთ აღარ დამენახო. დამაცადე, რა დღე დაგაყენო!





მეორე დღეს გამბედავი ბავში თავისი სახლიდან დილით ადრე ორმა პოლიციელმა წაიყვანა. მას შემდეგ ის აღარავის უნახავს. მისმა დედამამ ველარ მიავნო მის კვალს. ამბობდენ—პოლიციელებმა მოაკლესო.

ჯოს შინც არაფერი აშინებს. ის უფრო გაცხოველებული მუშაობს. უფროსი ამხანაგების კრებებზეც დადის. იქ ბევრ კარგ რამეს ლაპარაკობენ. ბევრი ახალი გაიგო და შეისწავლა იქ ჯომ.

ერთხელ კრებაზე ჯოს უთხრეს, რომ 7 ნოემბრისთვის უნდა მოემზადოს თავისი კოლექტივით დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად.

7 ნოემბერს, ე. ი. 25 ოქტომბერს ძველი სტილით, რუსეთში მუშებმა და შრომელმა გლეხებმა რევოლუცია მოახდინეს და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. ახლა 7 ნოემბერს 13 წელიწადი ვახდება, რაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობს იქ და ამიტომ ეს დღე შრომელმა ინდოელებმაც უნდა ილღესასწაულონ.

ჯო ამ სიტყვებმა ფიქრში ჩააგდო. ეს ხომ უბრალო საქმე არ არის—უფროსებთან ერთად მისმა კოლექტივმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა დემონსტრაციაში.



ამიტომ უნდა, რომ ეს დღე კარგად ჩაატაროს, მთელი სკოლა გამოიყვანოს დემონსტრაციაზე და ამასთანავე ისეთი საქმე მოიმოქმედოს, რომ სკოლის მასწავლებელს სამაგიერო გადაუხადოს ალის დაკარგვისათვის.

უკვე მოისაზრა, როგორც უნდა მოიქცეს. მაშინვე რიკისთან გაიქცა.

— რიკი! კომუნისტები როგორ ნიშანს ატარებენ?—ეკითხება ის.

— კომუნისტები? ხუთსხივიან ვარსკვლავს. ზედ ჩაქუჩი და ნამგალია



ვაძობატული. რათ ვინ და? — ეკითხება რიკი.

მაგრამ ჯო პასუხს აღარ აძლევს და სწრაფად შინისკენ მოჰკურცხლავს.

მეორე დილას მოწაფეები სკოლის ეზოში შეგროვილან. თუმცა ზარი უკვე დარეკეს, კლასში არავინ შედის.

— არავინ შეხვდეთ კლასში!

— დღეს არა ვსწავლობთ!

— ჯომ აკი გვითხრა, დემონსტრაციებზე უნდა წავიდეთო.

— დღეს საბჭოთა კავშირის დღეა!

— რათ დაიგვიანა ავდენ ხანს ჯომ?

ასეთი ლაპარაკი ისმის მოწაფეებში.

მასწავლებელი ქალი კი მოწაფეებში დაბრბის და ცდილობს ისინი კლასში შეიყვანოს, მაგრამ ამაოდ: არცერთი არ ფიქრობს დღეს სწავლას. ზოგნი კი ენასაც უყოფენ და აჯავრებენ მასწავლებელს. ის სკოლის გამგესთან მიბრბის, რომ ბავშვების თავბუღობა უამბოს და რჩევა სთხოვოს, თუ როგორ მოიქცეს.

ავერ ჯოც გამოჩნდა. ილღოში რალაც უქორავს შეხვეული, ხელში

კი გრძელი ჯოხი დაუჭერია და მობრბის.

— ვამარჯობათ, ბიჭებო! აი რა მოგიტანეთ! — და ამ სიტყვებთან ის წითელ დროშას შლის და ჯოხზე ამავრებს. მალე თეთრასოცებიანი წითელი დროშა ბავშვების თავზე ფრიალებს.

„გაუმარჯოს მსოფლიო რევოლუციას“ — აწერია დროშას. ბავშვებმა უკვე კარგად იციან ამ სიტყვების მნიშვნელობა.

— აი ესეც თქვენ მოგიტანეთ, — ეუბნება ჯო მოწაფეებს და ამ სიტყვებთან ერთად ჯიბიდან წითელი ქაღალდის მთელ ბლუჯა ხუთჭიმიან ვარსკვლავებს იღებს.

— აი, ვისაც არ გეშინიათ პოლიციელებისა და მასწავლებლის, — ეს ნიშანი გაიკეთეთ მკერდზე და ისე გადიეთ დემონსტრაციაზე.

არცერთი მოწაფე არ დარჩა, რომ მკერდზე წითელი ვარსკვლავი არა ჰქონოდა.

ზოგს ჯიბეში წითელი ცხვირსახოციც აღმოაჩნდა; ეს ცხვირსახოცები დახიეს და ნახევები მკლავზე შეიბგეს.





მასწავლებელი გამგისაგან სწორედ მაშინ დაბრუნდა, როცა ჯო კლასიდან გამოტანილ მავიდაზე შემდგარიყო და რაღაცას გაპყვიროდა.

„ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ! წითელი დროშა? ან რასა ყვირისჯო?“

„..ღიღიხანია, რაც საბჭოთა კავშირში ბოლო მოუღეს კაპიტალისტების ბატონობას. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. არავის მიცემთ ჩვენს ნაშრომს. გაუმარჯოს ინდოეთის რევოლუციას! ძირს კაპიტალისტები! ძირს რაჯები და“ ..

ეს რა ესმისმასწავლებელს, ეს ხომ კომუნისტური სიტყვებია. ვინ ასწავლა ჯოს ასეთი ლაპარაკი? მოიცადოს, რა დღეს დააყრის. რა აქვს ეს მიკრული? ღმერთო ჩემო!... ხუთსხივიანი ვარსკვლავი... ჩაქუჩი და ნამ-


გალი... უმკველად ჩამოგლეჯს... აგერ მეორესაც, მესამეს, მეოთხეს... ყველას... ყველას ასეთი ნიშანი აქვს. არა, ამას კი აღარ მოითმენს, ახლავე პოლიციას გამოუძახებს.

მასწავლებელი ეზოს კარისკენ მირბის. მოწაფეებში კი ამ დროს თავაშვებული ხარხარი ისმის, მასწავლებელზე ათითებს ყველა, რომელიც კარისკენ გარბის, და ყვირიან:

— მასწავლებელო, უ-უ-უ!

ვიღაცას მისთვის უკან კაბაზე ლომის სურათი მიება. მან ეს არ იცის და ისევ მირბის.

— აბა, ბიჭებო! ახლა დროა ჩვენც წავიდეთ, თორემ ეგ წყვეული პოლიციას დაგვახვევს თავზე და აქედან ვეღარ გავალთ, — ეუბნება ჯო მოწაფეებს.



— წავიდეთ! წავიდეთ! — ისმის მოწაფეების ყვირილი.

ყველანი ოთხ-ოთხი ეწყობიან და წითელი დროშით ქუჩაში გადიან.

ჯო მედროშეს გვერდით მისდევს და ხმაშალო ყვირის: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, ინდოეთის ჩაგრულთა შეგობარს“.

პირველი ქუჩა გაიარეს და მთავარ ქუჩაზე უნდა გასულიყვნენ, რომ უცბად შეიარაღებულ პოლიციელთა რაზმმა გზა გადაუღობა მათ. ბავშვებს თოფები მიუშვირეს, ზოგიერთებმა კი მათარხები აამუშავეს ბავშვების პირისახებებზე.

უცბად სამმა პოლიციელმა სტაცა ხელი პატარა მედროშე რუტის და ჯოს, რომლებიც გაშტერებულნი ერთ ადგილას გაჩერებულიყვნენ. ბავშვები იქვე საიდანღაც გამოჩნილ ეტლში ჩაადგეს და გააქროლეს,

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მოწაფეები ვერც მიხვდნენ, თუ რა მოხდა. პოლიციელებთან მასწავლებელი იღვა და ზოგიერთ მოწაფეებზე თითით უჩვენებდა. პოლიციე-

ლებმა მისი მითითებით რამდენიმე ბავში დაატუსაღეს და სადღაც წაიყვანეს.

ბავშვებმა, როცა მიხვდნენ რაც ხდებოდა, გაქცევა არჩიეს.

მეორე დღეს სკოლის ალაყაფის კარი არაღიან არ შედლო. სკოლაში მოსული მოწაფე შორიდანვე აშტერდებოდა კართან ჩამომწყრივებულ ბოძებს.

ახლოს მისულს ტანში ერუანტელი უვლიდა და აცრემლებული თვალებით და მძიმე ნაბიჯით უკანვე ბრუნდებოდა. ზოგნი კი ტირილით სწრაფად გარბოდნენ იქიდან, უკანაც აღარ იხედებოდნენ, თითქოს ვინმე მისდევსო.

რა იყო ამ ბოძებზე ასეთი საშინელი?

იმ ექვს ბოძზე ჯონი, რუტი და გუშინ დატუსაღებული ოთხი სხვა ინდოელი პიონერი იყო ჩამომხრჩვალნი.



ს უ თ წ ლ ე დ ი 4 ვ ე ლ უ ი

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გადაწყვიტეს ოთხ წელიწადში შეასრულონ სუთწლიანი გეგმა. მათ მოსთხოვეს საბჭოთა კავშირის მთავრობას — ინდუსტრიული საცდის ასახლი სესხი გამოეშუბათ. მთავრობამ დააკმაოფილა მუშების მოთხოვნა და გამოეშუბა ასახლი სესხი: „სუთწლედი ოთხ წელში“.

ბავშებო, გაბავრცელებო ეს სესხი.

გახსოვდესთ:

სოფლად და ქალაქში ყოველ მშრომელს უნდა ჰქონდეს ობლიგაცია სესხისა „სუთწლედი“!

ყოველ რაზმს, ყოველ სკოლას უნდა ჰქონდეს სესხის ობლიგაცია!

ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ვ ა ვ ლ ე ბ ა

გვაქვს საღღისო ლოზუნგად საყოველთაო სწავლება, მისთვის ძალა არ დავზოგოთ, უსწავლელობას შევებათ. მთელი ძალ-ღონე ვიხმაროთ, რომ გავანადღოთ მიზანი, რომ უფრო გავახალისოთ ჩვენში მშრომელი ვინც არი.

ძველი დრო გავანიავეთ, როცა სიბნელეს გვახვევდენ, დღეს ახალ ადამიანებს დაე, სინათლე გვალხენდეს! საყოველთაო სწავლება ჩვენ გავატაროთ სულ მალე, ახალ ცხოვრების ძალები მას შევევებოთ მხურვალედ.

შალვა შამჭირანი.

სალაგი ოპოზიციის.

გასედეთ ამ ქუჩას —

რა სისარულია!

ბავშვები დროშებით

დიდ სასაღებებს უვლიან!

მღერებ: „მოისწო

ბუშის სმა მკვლევარი,

ასალი თაობა

იზრდება ტუქსავით!“

გასედეთ ამ ქუჩას —

რა კარგი დარია.

დიდი და ზატარა —

უკვლავ აქ არიან!

გუგუნებს ბუსიკა,

ფრიალებს ბლამი,

სუუუულებს წარწყვრთ:

„ოქტომბერს საღამო!“



თავბუნი



ოჯახის მამობრაჲ



ციხის საკანში მძიმე, შეხუთული ჰაერია. სიცოცხე და სინესტე ძვალ-რბილში უჯდება ადამიანს. ირგვლივ

კედელზე ხის ვიწრო ტახტებია მიმაგრებული. ერთ ამისთანა ტახტზე წევს პატარა ტუსალი სტოიან ვოინიჩი. ის მთელი ტანით კანკალებს. სცივა, ძალიან სცივა.

ხანდახან ყვირილით წამოვარდება ხოლმე ზეზე შეშინებული. ეს ვირთაგვები აშინებენ პატარას. მის ტახტზე დარბიან, წრუწუნებენ, ჩხუბობენ.

მოხუცი ტუსალი ვაინი ცდილობს დააფრთხოს ვირთაგვები: წაღებს არახუნებს ტახტზე. მოხუცს ეცოდება პატარა ტუსალი.

— ჩემთან მოდი, პატარავ, ჩემთან, — თანაგრძნობით ეუბნება იგი ბავშს, — ეგ ვირთაგვები შენ არ მოგასვენებენ.

უძილო ღამეები ორივე ტუსალის ხშირი სტუმარია.

ერთ ამისთანა ღამეს პატარა სტოიანმა უამბო მოხუცს, თუ როგორ მოხვდა იგი ციხეში.

მამამისი კომუნისტი იყო. სახლის გაჩხრეკის დროს იგი ბოლგარელმა ჯარისკაცებმა მოჰკლეს. პატარა ბიჭიკო მამას გა-

მოესარჩლა და ერთჯარისკაცს დიდი ბერკეტი დაარტყა თავში.

— ბავში დაიჭირეს. ციხეში ჩასვეს. აგერ სამი თვეა, რაც ციხეში ზის.

— სინესტე, უძილო ღამეები და ცუდი საკმელი ბავშს ასუსტებს.

იგი გახდა, გაყვითლდა, სიარულის დროს ბარბაცებს, ფეხზე დგომა უჭირს.

— ციხეში დააღობენ პატარას, — ფიქრობს მოხუცი.

გავიდა ხანი.

გაზაფხულის მშვენიერი დილაა.

საკანის კარში გამოჩნდა დარაჯი და მჭექარე ხმით დაიყვირა:

— სტოიან ვოინიჩ, მოემზადე, ჩქარა! განთავისუფლებული ხარ!

ბავში მიიყვანეს ციხის კიშკართან, კარი გაუღეს და უთხრეს:

— გაიქეცი! უკან არ მოიხელო.

—

სტოიანი მარტოკაა ქუჩაში. უმწეოდ აქეთ-იქით იცქირება. ეშინია.

სად წავიდეს? რა ჰქნას?

უცებ ვილაც ახალგაზრდა კაცი მივიდა მასთან.

— შენ, მგონი, ეს არის ახლა

გამოვიშვეს ციხიდან, არაა რამდენი ხანი იჯექი ციხეში, პატარავ?

— შემოდგომის აქეთ ვზივარ.

— მაშ, ნახევარ წელიწადზე მეტია? რა გქვინა?

— სტოიან ვოინიჩი.

უცნობმა ბავშს მხარზე ხელი დაადო და შეპყვირა:

— შენ სტეფანე ვოინიჩის შვილი ხარ? როგორ მიხარია, რომ გიპოვნე! ყოველდღე რიგრიგობით გყარაულობდით და შენ განთავისუფლებას ველოდით წამოდი! წამომყევი! მე მამაშენის მეგობარი ვარ.

აღერსმა, ადამიანურმა მოპყრობამ პატარა ბიჭიკოს გული გაუთბო. თავისი თავი სიზმრად ეგონა. უცნობმა ბავშვი თავის სახლში წაიყვანა, აქამა, სუფთა ტანისამოსი ჩააცვა და უთხრა:

— ხვალ მე და შენ ძალიან შორს წაველთ აქედან, ბულგარეთის საზღვრებს გადავცილდებით. იქ ძალიან კარგია.

— —

გერმანიის პატარა ქალაქ ეგელსბურგში დიდი ორსართულიანი სახლი დგას. სახლის მახლობლად დაბურული ბაღია ამ სახლში მრავალი ოთახია — სუფთა, ნათელი, მზიანი. ოთახებიდან და ბაღიდან ბავშვების განუწყვეტელი მზიარული სიცილი და სიმღერა ისმის.

აქ არიან ფრანგები, გერმანელები, რუმინელები, ჰოლან-



დიელები, იტალიელები, სერბიელები. აქვეა პატარა ბოლგარელი სტოიან ვოინიჩი.

ამ სახლს რემედასი ჰქვია.

რემედასი ეხმარება რევოლუციონერ მუშებს, რომლებიც ციხეებში სხედან, ეხმარება მათ შვილებს.

რემედასი ცდილობს რაც შეიძლება მალე გაათავისუფლოს ტუსაღები, ეხმარება მათ ოჯახებს.

რემედასს აქვს სახლები, რომელშიაც თავს უყრის რევოლუციონერების შვილებს. ბავშვებს უვლიან, აქმევენ, ასმევენ, აცმევენ.

აღტაცებული სტოიან ვოინიჩი ათვალისწინებდა ოთახებს, ბაღს. მის გარშემო ბავშვები მღეროდნენ, იცინოდნენ, თავისუფლად დანავარდობდნენ. სტოი-

ნი კი დაღონებული უცქეროდა მათ. საერთო მხიარულებაში ის მონაწილეობას არ იღებდა. მის სახეზე მწუხარება იხატებოდა.

— ავად ხომ არა ხარ, სტოიან? მზრუნველებით შეეკითხა მას ხელმძღვანელი ელზა ცორ-

ნი.— ან იქნება ჩვენთან არ მზრუნველებით ვწონს?

— არა, როგორ არ მომწონს... მე მხოლოდ მამაზე ვფიქრობ .. მინდა მალე გადავუხადო მუშების მტრებს სამაგიერო, — მიუგო ბიკიკომ და მწუხარედ გაიქნია თავი.

ე. ბ.

სად როგორ სწავლობენ.



ზანგების სკოლაში. დასჯილი ბავშვები

13 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ ძალიან ბევრი სკოლა გახსნა. მაგრამ ჯერ კიდევ მრავალმა მილიონმა ბავშვმა და მოზრდილმა სოფლებში და ქალაქებშიაც კი უბრალო წერა-კითხვაც არ იცის.

ახლა საბჭოთა კავშირში სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა შემოდის, რომელიც

ყველა ბავშვს შეეხება. მალე ერთი უცოდინარიც კი აღარ გვეყოლება.

ჩვენი ქვეყანა სოციალიზმს აშენებს, და ამისთვის ხომ ის ინდუსტრიალურ ქვეყნად უნდა გადაიქცეს. ხუთწლედის დიდი მშენებლობა მრავალ ძლიერ ფაბრიკა-ქარხანას, ელსადგურსა და პურის ქარხნებს მოგვცემს.

თუ გინდა გახდე სოციალიზმის მშენებლობის შეგნებული მონაწილე და შენც შესძლო მუშაობა, — ამისთვის მარტო წერა-კითხვის ცოდნა არა კმარა. საჭიროა შეისწავლო ტექნიკა, სხვადასხვა მეცნიერება, რომ ისიც გამოიყენო საქმეში.

თქვენ კარგად უნდა იცნობდეთ სხვადასხვა წარმოებას და სოფლის მეურნეობის მექანიზაციას.

ჩვენს სკოლებშიაც სწორედ ასე უნდა იყოს სწავლის საქმე დაყენებული, რომ ბავშვებს წარმოებაში და სოფლის მეურნეობაში შეეძლოსთ მუშაობა.

პირველ რიგში ახალ წესზე გადაკეთება საფაბრიკო საქარხნო და კოლმეურნეობათა ახალ-გაზრდობის სკოლები.

ინგლისის პირველდაწყებით სკოლებში ბავშვებს წერაკითხვასთან ერთად პრაქტიკულ მუშაობასაც ასწავლიან: საქონლის ჩაწყობა-შეხვევას, ხელწერილების მიღებას, ხანძრის ჩაქრობას, რკინის გზის ნიშნების გამოცნობას, წერილების დაზარისხებას და სხვა. მართალია, ძალიან მცირე ცოდნას აძლევენ ბავშვებს, მაგრამ სკოლიდან გამოსვლისას მათ მაშინვე შეუძლიათ მუშაობას შეუდგენ.

მხოლოდ საბჭოთა სკოლაშია სწორედ დაყენებული ბავშთა აღზრდის საქმე, მხოლოდ საბჭოთა სკოლაში ასწავლიან ბავშს სიმართლეს.

კაპიტალისტური ქვეყნების სკოლებში კი ღარიბების ბავშვ-



სკოლა კორეიაში.

ბისაგან უნდათ გამოიყვანონ მდიდარი ხალხის სურვილების მორჩილნი, რომლებიც თავის ძალ-ღონეს ულაპარაკოდ და-

ხარჯავენ კაპიტალისტების ექსპლოატატორების — სასარგებლოდ.



აღმოსავლეთის სკოლა.

ტრანსილვანიაში (ინგლისის კოლონია სამხრეთ აფრიკაში) ზანგი ბავშვების სკოლები პატარა ფიცრულეებშია მოთავსებული. ბავშვებს ინგლისურ ენაზე ასწავლიან. მათ პატარაობიდანვე უნერგავენ თავში, რომ ინგლისელები მათი კეთილისმყოფელნი არიან, რომ ზანგები მხოლოდ მათ და ღვთის ნებას უნდა ემორჩილებოდან.

ბავშვებს ასეთ სკოლებში ყოფნა მალე ბეზრდებათ. ამიტომ ისინი ცელქობენ, ზოგს გაკვეთილზე ეძინება. მასწავლებლები ამისათვის მათ ცალ ფეხზე აყენებენ და ისე ჰკითხავენ ხოლმე გაკვეთილს.


გერმანიაში ომის შემდეგ მუშებსა და გლეხებს ძალიან გაუჭირდათ ცხოვრება. უმუშევრები გამრავლდნენ, ისინიც კი, ვინც მუშაობს, ძალიან მცირე ხელფასს იღებენ. ბავშვებს როგორ-

და ასწავლონ? ამ მიმე მდგომარეობით ისარგებლეს კათოლიკურმა მონასტრებმა, რომ მოხარდ თაობაზე თავისი გავლენა მოეხდინათ, და ღარიბი ბავშვებისათვის სკოლები მოაწყვეს, სადაც მათ უფასოდ ასწავლიან და აქმევენ კიდევ. გაქირვებული მშობლები თავიანთ შვილებს ასეთ სკოლებში დიდი ხალისით აძლევენ.

სკოლებში ბავშვებს მხოლოდ წერა-კითხვას და ზოგიერთ ხელობას კი არ ასწავლიან, იქ ასწავლიან აგრეთვე რელიგიას, უნერგავენ მდიდრებისადმი მორჩილების გრძნობას და აჩვენებენ ცხოვრების სიდუხჭირის ჩუმად ატანას.

ინდოეთში, ინგლისის დიდ კოლონიაში, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და გაუნათლებელია. მხოლოდ უკანასკნელ დროს ადგილობრივი რევოლუციონური პარტიის მეოხებით დაიწყეს სოფლებში სკოლების მოწყობა ადგილობრივი მცხოვრებლების ხარჯზე.

სკოლის შენობები ღარიბია:



გ ა რ ე ა ნ .

სკამების მეტი არაფერია. იპოვება შიგ, და მოწათფები როდესაც კითხულობენ ან სწევენ, — წიგნები და რვეულები მუხლებზე უდევთ! წიგნები ძალიან ცოტა აქვთ, ერთი წიგნით რამდენიმე ბავში სწავლობს.

მუსულმანურ პირველდაწყებით სკოლებში ალჟირში, ტუნისში (აფრიკა, საფრანგეთის სამფლობელოები), როგორც აღმოსავლეთის ყველა სკოლაში, პირველ ადგილას დგას ყურანის (მუსულმანთა საღვთო წიგნის) შესწავლა. ბავშვებს სრულ მორჩილებას უნერგავენ თავისი ბედისადმი, რომლის შეცვლაც თითქოს არცერთ ადამიანს არ შეუძლია. თუ შენ ღარიბი და დაჩაგრული ხარ — ითმინე და ყველა შენი ნაკლოვანება უხმოდ გადაიტანე.

სკოლაში მოლა იატაკზე დაყრილი ბალიშების გროვაზე ზის. იქვე ბალიშზე ყურანი დევს. ხელში კი ჯოხი და წკეპლა უჭირავს. მოწათფები მის გარშემო სხედან იატაკზე. თუ მოწათფემ სწორედ არ უპასუხა, მოლა მაშინვე ჯოხს დაჰკრავს



შ ა გ ნ ი თ .

თავში, ან გულში წაჰკრავს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვის. თუ მოწაფე კარგად ვერა სწავლობს ან ცელქობს, მოლა იქვე, ყველას თვალწინ, იატაკზე გააწვევს და მაგრად გასწევბლავს ასეთ ურჩ ბავშს. სხვა სასჯელე-ბიც იცის მოლამ. მაგალითად, მოწაფეს კედელთან დააყენებს აწეული ხელებით, ხელებში კი კუნძს ან ქვას დააქერინებს, და ერთი ან ორი საათი უნდა იდგეს ბავში ასე.

რასაკვირველია, სასჯელი მხოლოდ ღარიბების შვილებს ხვდებათ — იმათ, რომლებსაც არ

შეუძლიათ მოლას სწავლიეს. ფასურში კარგი საჩუქრებია ტანონ.

ძალიან საბრალო შეხედულე-ბა აქვთ კორეის სკოლებს. კორეია იაპონიის კოლონიაა და აზიის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. იაპონელები კორეის გაიაპონელებას დიდის სიმტკიცით ატარებენ. სკო-ლებში სწავლა იაპონურ ენაზე სწარმოებს, პირველ ალაგას რელიგიის შესწავლა დგას, რომელიც მდგომარეობისა და იაპონიის სიძლიერისადმი მორჩილე-ბას ასწავლის ბავშებს.

მამიდას „კამფეტები“.



— დედა, ჩქარა, ჩქარა მოდი! — იძახოდა მაყვალა და ოთახებში გიჟივით დარბოდა.

— რა იყო, შვილო, ბავში ხომ არ გაგივარდა ხელიდან? შესძახა შემინებულმა დედამ და სამზარეულოდან გამოვარდა.

— არა, არა, გულიკომ ფეხი აიდგა! — ახარა მაყვალამ და თან ოთახისაკენ ეწეოდა.

იატაკზე გაშლილ ჭილოფზე იდგა ათი თვის ბიჭიკო. ფუნ-თუშა ხელები აქეთ-იქით გაე-



შალა, მარჯვენა ფეხი აეწია, მაგრამ ფრთხილობდა, თითქოს ცხოვრებაში პირველი ნაბიჯის გადადგმა აშინებდა.

სახეგაბრწყინებული მაყვალა დაიხარა გულიკოსკენ; ისიც სწორედ ამ დროს წაბარბაცდა და, რომ არ წაქეუულიყო, ორივე ხელი დას ცხვირზე წაავლო.

— რაღა მიშავს, — სიცილით წარმოსთქვა დედამ, — მაყვალა რვა წლის შესრულდა, გული-კომაც ფეხი აიდგა! მართლა, დღეს კონსულტაციაში უნდა წავიყვანოთ ბიჭიკო ასაწონად! — მოაგონდა მას.


დედამ გულიკო საბანში გაახვია, თავზე ქუდი დაახურა და კონსულტაციისაკენ გაეშურა. მაყვალაც გვერდით მიუხტოდა. გაკრიალებულ, ნათელ ოთახში დედებს ბლომად მოეყარათ თავი. რიგს უცდიდნენ, თან ერთმანეთს ებაასებოდნენ. ყველას პაწია ეჭირა ხელში; ზოგი მათგანი უკვე ტიტინებდა, უფრო პატ რებს ეძინათ.

მაყვალამ მალე მთელი ოთახი შემოიკრიბინა, კედლებზე ჩამოკიდებული სურათები დაათვალიერა და ისევ დედასთან დაბრუნდა.

დედა, შეხე, იმგანჯინაში რა ლამაზფორიანი „კამფეტები“ და ხმელი ხილი ალაგია! ნეტა ვისთვის მოუშხადებიათ?

— ეგ კამფეტები, მზესუმზირა და კაკლები პაწიებს არ უნდა მივცეთ, თორემ ავად გახდებიან. ამიტომაც კამოუდგამთ განჯინაში ღვინოსა, ძმარსა და პილპილთან ერთად, ზევიდან კი დიდი ასოებით დაუწერიათ: „მავნებელი საჭმელ სასმელეები“, — უხსნიდა გოგონას დედა.

მაყვალა ახლა სათამაშოების დასათვალიერებლად გაიქცა.



გაგონებული
გონიერებისა

ოთახის ერთ კედელთან, დაწულ კალათაში, თავისუფლად ხელ-ფეხგაშლილი ტიკინა ჩაეწვინათ.

იქვე ახლო აკვანში არტახებით მაგრად გადაჭერილი მეორე ტიკინა იწვა.

ეს რაღაა, დედა? რატომ ერთნაირ საწოლებში არ წვანან ტიკინები? ერთი შეკრულ-შეფუთულია, მეორე კი, გულიკოსავით, თავისუფლად წევს.

— ეს აკვანია, შვილო, და, ექიმების აზრით, უვარგისი საწოლია: შიგ ბავში თავისუფლად ვერც სუნთქავს, ვერც მოძრაობს კალათა კი იაფი და ამასთანავე სასარგებლოა, ამბობდა დედა, თან საჩქაროდ გულიკოს შესახვევებს ხსნიდა, რაკი მისი ჯერი მოახლოვებულ იყო.

— რა კარგია, ჩვენი გულიკო რომ აკვანში არ გაგვიზრდია. არა, დედიკო?

— ჰო, შვილო, გულიკოს ფართე გულმკერდი უნდა ჰქონდეს, რომ ჯანმრთელი ბიონერი გამოვიდეს.



— რამდენი მოიმატა გული-
კომ? — იკითხა მაყვალამ, როდესაც შინ ბრუნდებოდენ.

— ნახევარი კილო ამ ორი კვირის განმავლობაში, — სიხარულით ამბობდა დედა და მძინარე პაწიას გულში იხუტებდა.

ერთ საღამოს მაყვალასა და გულიკოს დედა სამუშაოდან გვიან დაბრუნდა. საჩქაროდ ისადილა, სკვირიდან პატარა ჩანთა ამოიღო და შიგ აუცილებელი ნივთების ჩალაგება იწყო.

— დედა, რათ ალაგებ საცვლებს? — იკითხა გაკვირვებულმა მაყვალამ.

— ხვალ დილით ორი კვირით მგზავნიან სოფელში. ჩვენი ქარხნის მუშებმა ერთხმად ამირჩიეს და უარი ვეღარ ვუთხარი. ყველას ჩემი იმედი აქვს, და მეც საერთო საქმეს ვერ ვუღალატებ... რაკი მამათქვენიც შინ არ არის, მამიდა სოფოს მოველაპარაკე. ის გადმოვა თქვენთან და, სანამ დავბრუნდებოდეთ, ყურს გივადებსთ...

გულიკოს უფრო შენი იმედითა ვტოვებ, მაყვალა.

— ნუ გეშინია, დედა, მე გულიკოს სწორედ ისე მოუვლი, როგორც კონსულტაციაში გვასწავლიდენ.

დედამ სიყვარულით გადაჰკოცნა თავისი გოგონა.

— გამარჯობათ, ჩემო გვრიტებო! როგორ გაზრდილხართ! — წარმოსთქვა მამიდა სოფომ,

როდესაც ოთახში შემვიდა და, მერე უცებ, თითქო რაღაც მოაგონდაო, ბავში ტახტზე დასვა და თავის ფართე ჯიბეებს ჩხრეკა დაუწყო.

— უი დამიდგეს თვალი! ისე ავქარდი თქვენთან წამოსასვლელად, რომ საჩუქრები ვეღარ მოგიტანეთ. კამფეტების წამოღება მაინც როგორ დამავიწყდა! — სწუხდა მოხუცებული.

კამფეტების გახსენებაზე მაყვალამ ყურები ცქვიტა და დინჯად უპასუხა:

— არა, მამიდა, კამფეტებს ნუ მოგიტან, გულიკოს არ ეჭმევა.

მეორე დილით მაყვალა აივანზე ათამაშებდა გულიკოს. ბავშვების მხიარული სიცილი შორს გაისმოდა.

აი, კიბეზე მამიდაც გამოჩნდა, ბაზრიდან სავსე კალათას ძლივს მოათრევდა... ხვნეშით ამოვიდა ზევით და მაყვალას მოზრდილი თეთრი პარკი გადასცა.

— აჰა, გენაცვალე, მოგიტანე!



მაყვალამ პარკი გახსნა და იქიდან კამფეტები გადმოკვივდა. მათი დამალვა გვიან იყო, და გულიკოც უკვე იწვედა ფერადი ქალღღებისაკენ.

— აჰა, გაიხარე, ეს მურაბინი უნდა იყოს, — ეუბნებოდა ბიჭიკოს მამიდა...

მაყვალამაც იგემა ტკბილი კამფეტები, მოეწონა და დედის გაფრთხილება სულ დაავიწყდა.

გულიკოს ტკბილეული მეტი მოუვიდა და იმ ღამესვე ავად გახდა.

მაყვალამ მამიდა გააღვიძა. მოხუცმა ადგომა დააპირა, მაგრამ მალე ისევ ხვრიწვა ამოუშვა.

მაყვალამ პირველად იგრძნო, რა მძიმე ტვირთი იკისრა. თავლებზე ცრემლები მოადგა. თავის თავს დაშნაშავედ სთვლიდა, რაკი დაპირება ვერ შეასრულა და ძმას ვერ უპატრონა.

მეორე დღით მაყვალას გვიან გამოეღვიძა.

მამიდა ოთახში ფუსფუსებდა. ბავშვს თითქოს ჩასძინებოდა. ერთ ღამეში მეტად გამხდარიყო და გაფითრებულიყო.

— მამიდა, გულიკოს ექიმი მოუყუყვანოთ! მთელი ღამე ტიროდა, — დაიწყო მაყვალამ.

— არა, შვილო, მაგის გულისათვის ექიმს როგორ შევაწუხებ? ალბათ, მუცელი ასტივდება. მაგით არა უშავს რა. თუ დღესაც არ დაწყნარდა, გა-



ლესილ ნაღველას დავაღვევინებ: ბავშვისათვის ძალიან კარგია.

ამ სიტყვებით შემკრთალი მაყვალა ლოგინიდან წამოხტა, გულიკოს საწოლთან მიიჭრა, მძინარე ბავში თბილ საბანში გაახვია და, როგორც კი მამიდა გარეთ გაიგულა, „კონსულტაციისაკენ“ გაეშურა.

ბავშვით ხელში მაყვალა მისაღებ კართან აიტუზა. ოთახში შესვლას ვერა ბედავდა. არ იცოდა, როგორ აეხსნა ყოველივე ექიმისათვის, რომელიც ამ წუთებში მეტად მრისხანედ ეჩვენებოდა.

ექიმის თანაშემწემ შეამჩნია მაყვალა, მიუახლოვდა, დააკჭერდა გულიკოს და სთქვა:

— რა მოსვლია ამ ბავშვს? მაყვალამ აუხსნა. გულიკო რიგს გარეშე შეუშვეს ექიმთან. იმანაც გასინჯა და მაყვალას მიუბრუნდა:

— ერთ დღეს კიდევ დავაცადოთ და, თუ უკეთ არ შეიქნა, საავადმყოფოში დავაწვენთ. ახ-



ლა კი შინ წაიყვანე ბავში. არაფერი აქაო. ამ ორ საათში წამლები მზადიქნება. ჩემი თანაშემწე მოვა თქვენთან და, რაც საჭიროა, თვითონ გაუკეთებს. კიდევ დაგარიგებს, როგორ მოიქცე.

ამ დღიდან მაყვალა გულიკოს არ მოშორებია, ექიმის ყოველივე დარიგებას ასრულებდა, და ბავში უკეთ იყო: აღარ ტიროდა, მხიარულად გამოიყურებოდა.

ექიმთან ლაპარაკის შემდეგ, მამიდა უფრო დაღონებული გამოიყურებოდა, თითქოს რტყვენოდა თავისი საქციელს...

მხოლოდ ახლა მიხვდა, რა ხიფათს გადაარჩინა მაყვალამ თავისი პატარა ძმა.

ერთ დილას მაყვალას ადრე გამოეღვიძა. მამიდას ლოგინი ალაგებული დახვდა. მის მაგივრად საწოლში საყვარელ დედას ეძინა.

გახარებული მაყვალა მივარდა მას. გულიკოს ავადმყოფობაზე უნდოდა ეამბნა, მაგრამ დედას უკვე შეეტყო: თვითონ მამიდას ყოველივე დაწვრილებით გადაეცა.

— მამიდას ეს უცოდინარობით მოუვიდა, და შენ ყოჩაღად მოიქეცი, რომ მის სიტყვებს ყური არ უვდევ და გულიკო პირდაპირ ექიმთან წაიყვანე! მაშ, დღესვე ექიმებს მადლობა გადაუუხადოთ წამლობისათვის და ბავშიც ავაწონინოთ!

მაყვალა ისევ მხიარულად მიტოლდა დედის გვერდზე სულტაცია“ და იქ მყოფი ექიმები მას აღარ აშინებდენ. პირიქით, მხიარულად ელოდა მათი დარიგების მოსმენას.

— რამდენი მოიმატა გულიკომ?

ჩვეულებისამებრ ეკითხებოდა დედას მაყვალა, როდესაც ისევ შინ ბრუნდებოდენ.

— ცოტა დაუკლია, მაგრამ არა უშავს რა, მალე შეივსებს.

— იცი, დედა, — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ განაგრძო მაყვალამ, — მე რომ დიდი გავიზრდები, ექიმი გამოვალ და ყველას ვასწავლი ბავშვების მოვლას.

მარეხი.





დნებრომშენი, კაშირმშენი, მაგნიტომშენი, კუზნეცომშენი, თურქსიბი, ყველა ესენი მშენებლობის ბუმბერაზებია. მათ ვარშემო კი მუშათა პატარა ქალაქები შენდება. ეს ადგილები ერთიმეორესთან ასეული კილომეტრი რკინისგზის ხაზებითაა დაკავშირებული.

ყველგან აღმშენებლებია საჭირო, ყველგან ბევრი ხალხია საჭირო.

გაზეთში კითხულობ, რომ საზღვარგარეთ ასიათასობით უმუშევარია. დიდ სახელმწიფოებში კი მილიონობითაცაა უმუშევრები.

ჩვენთან კი პირიქით—მუშახელი გვაკლია კიდევ, რომ ყველა სააღმშენებლო სამუშაო შევასრულოთ და ან მათთვის მასალები დავამზადოთ. ახლად აშენებული და ძველად არსებული ქარხნები კი ახალ-ახალ მომუშავეებს თხოულობს.

რათ უნდათ ამდენი მუშახელი? იმისთვის, რომ დნებრომშენი, მაგნიტომშენი, კუზნეცომშენი, ტრაქტორების და მანქანათმშენებლობის ქარხნები თანდათან უფრო მეტს თხოულობენ სხვადასხვა მასალასა და ნაწილებს.

ავტოებისთვის და ტრაქტორებისთვის მაგნეტობია საჭირო, ელექტროფიკაციისთვის—ელნათურები და ვადამსახები. ქარხნები ამა თუ იმ საგნის გასა-

კეთებლად სპეციალურ საამქროებს ჰყოფენ, რომლებიც იზრდებიან, ფართოვდებიან და მერე კი თვით ქარხანას ეყოფიან და ცალკეულ დამოუკიდებელ საწარმოდ იქცევიან. ერთ ქარხანასთან სხვა ქარხნები ჩნდება, თვითონ ისინი კი იზრდებიან, ფართოვდებიან და მთელ კომბინატებად იქცევიან.

კიდევ მომუშავეებს თხოულობენ, — მხოლოდ ისეთებს, რომლებიც წარმოებას იცნობენ. ამიტომაც მათი მოთხოვნილება თანდათან უფრო იზრდება.

ზოგიერთი საამქრო 10-12-ჯერ იზრდება, ზოგი კი ასჯერაც.

აბა წარმოიდგინეთ, მაშ, რამდენი მომუშავე იქნება საჭირო, ან ვინ უნდა მოგვეცეს ამდენი მუშაკი, სათანადო ცოდნით აღჭურვილი, რომ მაშინვე მუშაობას შეუდგენ?

ისინი ჩვენსკოლამ უნდა მოგვეცეს, საიდანაც მომზადებული მუშაკი პირდაპირ ქარხანაში უნდა მიდიოდეს.

სკოლა ჯერ სათანადო მომზადებულ მუშაკებს არ გვაძლევს წარმოებისთვის, მათ წარმოებაზე ძალიან ზერეფე წარმოდგენა აქვთ და ქარხანაში მათი ხელახალი სწავლება უხდებათ. მაგრამ ეს ბევრ დროს თხოულობს და ქარხნის მუშაობას აფერხებს. საჭირო მუშაკთა მომზადება მომავალი პოლიტიკური



კური სკოლის საქმეა. მაგრამ პოლიტექნიკური სკოლა მარტო მუშაობას კი არ შეაჩვევს და ხელობას კი არ ასწავლის, — ეს ძალიან ცოტა იქნებოდა. პოლიტექნიკურ სკოლაში მოწაფეები ისწავლიან: ლითონების და სხვა მასალების ტექნოლოგიას (მათი აგებულების და გამოყენების შესწავლა), შეისწავლიან წარმოების იარაღებს, მათ მექანიზმს, მამოძრავებელ ძალებს, მასალების მიღების და მათი დამუშავების ღონისძიებებს, ამ ღონისძიებების გავლენას შრომის საზოგადოებრივ ფორმებზე და საერთოდ ცხოვრების მოწყობილობაზე.

საჭიროა აგრეთვე გეოგრაფიის ცოდნაც.

პოლიტექნიკის სისტემაში შედის აგრეთვე ბუნების შესწავლა, რომელთანაც განუყოფლად არის დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლე და მისი არსებობის პირობები.

პოლიტექნიკაში ფიზიკის, ქიმიის, ბუნებისმეტყველების და საზოგადოებათმცნიერების მასალების განსაკუთრებით მტკიცე, სისტემატიურ შერჩევას აწარმოებს. პოლიტექნიკური სკოლა ისეთ მუშაკებს მოამზადებს, რომლებიც ყოველმხრივ იქნებიან განვითარებულნი და შესძლებენ ბუნების ძალების და მისი სიმდიდრეების ყველა მშრომელის სასარგებლოდ სათანადო გამოყენებას.

უამბეთ ყველას, თუ რისთვის ტარდება პოლიტექნიკის ცნობილი პოლიტექნიკური სკოლისთვის.



რ ო გ ო რ ვ ე შ უ შ ა ო ზ თ.

ბოლო დროს ჟურნალ „ოქტომბრელ“-ში შემცირდა „ოქტომბრელების განყოფილება“. ამ განყოფილებაში იბეჭდებოდა ოქტომბრელების წერილები, მოთხრობები და სხვა. ჩვენ ბევრი ოქტომბრელი გვინახავს, რომელიც მოღუშული იღებს „ოქტომბრელი“-ს მორიგ ნომერს და ამბობს: „უპ, ეს როგორ შეიძლება, რედაქცია ჩვენ ძალიან პატარა ადგილს გვითმობს, ხანდახან კი სრულიად არაფერი სწერია. უნდა წავიდეთ და შევიჩვილოთ, თუ რატომ ხდება ასე.“

ნათუ რედაქციაა დამნაშავე, რომ ოქტომბრელთა განყოფილება მოიკოკლებს? არა, მეგობრებო, აქ რედაქცია არაფერ შუაშია, დამნაშავენი თვით ოქტომბრელები არიან. მართლაც და რათ შემცირდა „ოქტომბრელ“-ში ოქტომბრელთა განყოფილება? უწინ თითქმის ყოველ ნომერში გამოდიოდა ეს განყოფილება. მაშინ ჟურნალს შეკავშირებული ჰყავდა ოქტომბრელ კორესპონდენტების საგრიძნობ ირაზმი. ეს ოქტომბრელები წამოიზარდნ და სხვა ჟურნალ-

გაზეთებში გადავიდნენ, „ოქტომბრელი“ კი უკორესპონდენტებოდ დარჩა. ყოველი ოქტომბრელი ასე ფიქრობს: „მართალია, არაფერს ვუგზავნი რედაქციას, მაგრამ სხვა ოქტომბრელი აუცილებლად გაუგზავნის“.

ხშირად ოქტომბრელები ჩივიან, რომ წერა არ იციან და რცხვენიათ თავისი ნაწერის რედაქციაში გაგზავნა.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებობს ნ/პ. კოლექტივი. ეს კოლექტივი პირდაპირ სანიმუშოა ოქტომბრელთა შორის მუშაობის წარმოებით. აქ არსებობს ოქტომბრელთა რაზმი. ყველა მნიშვნელოვანი დღესასწაულის ჩატარების დროს, რგოლის ხელმძღვანელი ოქტომბრელებს ესაუბრება მათთვის გასაგებ ენაზე.

ოქტომბრელები უშვებენ საკუთარ კედლის გაზეთს. ამ გაზეთში იწერება იმნაკლებ, რომელიც ახასიათებს როგორც მთლიანად კოლექტივს, ისე ოქტომბრელთა შორის მუშაობას. ამ კედლის გაზეთს ამშვენებს ხოლმე ოქტომბრელების მიერ დაწერილი ლოზუნგები: „არცერთი ოქტომბრელი თავის კედლის გაზეთში მონაწილეობის მიღების გარეშე“, „თითოეულ ოქტომბრელს თითო „ოქტომბრელი“ და სხ. ამ კედლის გაზეთში თითქმის ყოველი ოქტომბრელი იღებს აქტიურ და მხურვალე მონაწილეობას.

როგორ მივალწიეთ ამას? პიონერებმა კედლის გაზეთთან ჩამოაყალიბეს კითხვა-პასუხის განყოფილება და საკონსულტაციო ბიურო. ეს ბიურო ოქტომბრელებს შორის მეტად დიდ მუშაობას ეწევა, ასწავლის და უხსნის მათ როგორ და რაზე უნდა სწერონ წერილი, რას უნდა შეეხონ უმთავრესად, რა განსხვავებაა წერილსა და ლექსს შორის და სხვ.

გიცდიათ თუ არა თქვენ ასეთი ხერხით და მიმართულებით მუშაობა? აი, ჩვენ ვცადეთ და შედეგიც კარგი მივიღეთ.

ჩვენი კოლექტივის ყოველი ოქტომბრელი პატარა მუშკორია, რომელიც კოლექტივში შემჩნეულნაკლს კედლის გაზეთში შეუპოვრად ააშკარავებს.

მიწსახკომის ოქტომბრელებს მკიდრო კავშირი აქვთ წითელ-არმიელებთან და ფაბრიკა-ქარხნების მუშებთან. ისინი დოლის დაკვრით და მხნე სიმღერით ესტუმრებიან ხოლმე ქართველი მსროლელი ლეგიონის წითელ-არმიელებს.

ოქტომბრელები ხშირად დადიან ქარხნებში და მუშებთან მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. ამგვარი მუშაობის წყალობით მიწსახკომის ოქტომბრელები გაცილებით უკეთ იცნობენ წითელი არმიის მიზნებს, აგებულებას და ფაბრიკა-ქარხნების პროლეტარიატის ცხოვრებას.

მიწსახკომის ა. ლ. კ. კ. უჯ.



რდება სოფლად გაგზავნა პიონერთა ბრიგადა. ამ ბრიგადაში ერთი ოქტომბრელიც შედიოდა. ამ ოქტომბრელმა საფუძვლიანად შეისწავლა კოლექტივის ყოფა-ცხოვრება და შემდეგ ამხანაგებს უამბო თავის შთაბეჭდილებანი, რითაც ყველა კმაყოფილი დარჩა.

ჩვენმა ოქტომბრელებმა აიღეს შეფოხა სოფ. ავქალის ნ/კ კოლექტივზე. ამ კოლექტივის ისინი სისტემატიურად უგზავნიან პიონერფორმებს, ნიშნებს, სასწავლო ნივთებს, წიგნებს, ჟურნალებს და სხვ.

ისინი არ ჩამორჩებიან არც პიონერული პრესის გავრცელებას.

არჩეულია ერთი ამხანაგი, რომელსაც ვეალება ჟურნალ „ოქტომბრელი“-ს გავრცელება. შეგროვილი აქვთ აგრეთვე მასალები „ოქტომბრელი“-ს რედაქციაში გასაგზავნად.

მიწასახკომის ოქტომბრელები იწვევენ ქალაქ ტფილისის ყველა პიონერკოლექტივთან არსებულ ოქტომბრელთა რაზმებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. სოც. შეჯიბრების მთავარი მუხლებია: პიონერული პრესის, „ოქტომბრელი“-ს და „პიონერი“-ს საუკეთესოდ გავრცელება და „ოქტომბრელი“-ს მუშაობაში მხურვალე მონაწილეობის მიღება.



გამოიწიეთ თქვენი ჟურნალი „ოქტომბერი“

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. სოციალისტური ინდუსტრია—სურ. 1
2. ოქტომბერი—ლეკი ალ. ბილანიშვილის 2
3. ქარიშხლიანი დღეები, გადმოკეთ. გ. შალვაშვილის 4
4. ოქტომბერი—ლეკი ანდრო ქერქეაშვილის 7
5. საბავშვო ბავშვების სეზონი—სურ. 8
6. ოქტომბერი—მუსიკა შ. თაქთაქიშვილის 8
7. პატარა ჯო—ვანო ჩაჩანიძის 9
8. ხუთწლიანი წელი 15
9. საყოველთაო სწავლება,—ლეკი შალვა შამჭრიანის 15
10. ხალხი ოქტომბერს,—ლეკი, თავისუფ. თარგ. მარიჯანი 16
11. ოჯახის მაგივრად—თარგ. ე. ბ. 18
12. სად როგორ სწავლობენ 20
13. მამიდას კამფეთები,—მარცხის 23
14. პოლიტიკური სკოლა 28
15. როგორ ვმუშაობთ,—გ. ლ-ძის 29
16. ოქტომბერი,—ლეკი თ. დედეძარციანის გარეკანზე
17. წითელარმიელი კოლეგისთვის, ლეკი ა. კაშმაძის “

